

ფანგროთი №1

FROM	Divan Suites Batumi
DATE	01/10/2017 – 31/12/2017
SUBJECT	Contract between LTD Kervan Turizm and _____



Dear :

We would like to take this opportunity to thank you very much for your kind interest to Divan Suites Batumi. With reference to your request, please kindly be informed that your Agency all season rates have been presented below;

2017 Rate	MEAL PLAN	Standard Room					Superior & Deluxe Room					Corner Suite				Junior Suite				
		Allout ment	Relea se	RATE			Allout ment	Relea se	RATE			Allout ment	Relea se	RATE		Allout ment	Relea se	RATE		
				SGL	DBL	TRPL			SGL	DBL	TRPL			SGL / DBL	TRPL			SGL / DBL	TRPL	
MID Season		October																		
14B2BBB	BB	6	1	\$69	\$79	N/A	2	1	\$84	\$94	\$124	2	1	\$129	\$159	1	1	\$139	\$169	
14B2BRO	RO	6	1	\$64	\$69	N/A	2	1	\$79	\$84	\$109	2	1	\$119	\$144	1	1	\$129	\$154	
LOW Season		November , December																		
14B2BBB	BB	8	0	\$49	\$59	N/A	4	0	\$64	\$74	\$104	3	0	\$109	\$139	1	0	\$119	\$149	
14B2BRO	RO	8	0	\$44	\$49	N/A	4	0	\$59	\$64	\$89	3	0	\$99	\$124	1	0	\$109	\$134	
In case of NO-SHOW first night accomodation will charge																				
Accommodation of children up to 6 years old is FREE of charge on the existing beds																				
Accommodation of children from 6 to 12 years is 15 \$ incl. VAT and breakfast																				
Accommodation of adults from 12 years is 30 \$ incl. VAT and Breakfast																				

*The hotel reserves the right to change prices

- > Please contact with Sales Office for other ROOM categories rates and availability.
- > Above rates are net and USD currency, inclusive of VAT & breakfast
- > Accommodation of children up to 6 years old is free of charge on the existing beds
- > Accommodation of children from 6 to 12 years is 15 \$ incl. VAT and breakfast
- > Accommodation of adults from 12 years is 30 \$ incl. VAT and Breakfast

- > Complimentary access to Divan Spa - steam bath, sauna, Turkish bath and Fitness
- > We offer complementary of coffee and tea setup throughout the room
- > Free use of Safe Deposit box in all rooms
- > Complimentary WiFi internet access in whole property
- > Daily housekeeping services once a day
- > Wake-up call service
- > Pillow menu
- > FREE of charge Parking

Divan Istanbul • Divan Istanbul City • Divan Istanbul Asia • Divan Suites Istanbul G-Plus
Divan Residence at G-Plus • Divan Ankara • Divan Çukurhan • Divan Bursa • Divan Çorlu
Divan Bodrum • Divan Gaziantep • Divan Residence Gaziantep • Divan Cizre
Divan Express Eskişehir • Divan Residence at Bomonti Plaza • Divan Adana
Divan Mersin • Divan Erbil • Divan Express Baku • Divan Suites Batumi

divan



No 8/15 Zhordania / Z. Gamsakhurdia Str.
6000 Batumi, Georgia
T : + 995 422 25 55 22 F: + 995 422 22 86 85
www.divan.com.tr

ქ. ბათუმი

----/----/ 2017

Batumi

----/----/ 2017

შპს “ქერვან ტურიზმი – LTD KERVAN TURIZM”-ის (ს/კ 445430971 შემდგომში “სასტუმრო”, ერთი მხრივ და “მიუთითეთ კონტრაგენტის სახელწოდება და წარმომადგენლობითი უფლებამოსილების მქონე პირის რეკვიზიტები”. შემდგომში “სააგენტო”, მეორეს მხრივ, ორივე ერთად შემდგომში წოდებული - “მხარეები”, თვითოეული ცალ-ცალკე „მხარე“, შევთანხმდით შემდეგზე:

LTD “ქერვან ტურიზმი – LTD KERVAN TURIZM” (I/D 445430971) hereinafter referred to as “Hotel” on the one hand and hereinafter referred to as “Agency”, on the other hand, both hereinafter referred to as – “Parties”, each separately as “party”, agreed on the following:

მუხლი 1. ხელშეკრულების საგანი

1.1. „სასტუმრო“ უზრუნველყოფს „სააგენტოს“ მომსახურებას, „სასტუმროს“ ბაზაზე არსებული სერვისების სრული პაკეტით, (შემდგომში: „სასტუმრო მომსახურება“) „სააგენტოს“ მიერ წინასწარ გაკეთებული დაკვეთის შესაბამისად, სანაცვლოდ „სააგენტო“ იხდის გაწეული მომსახურების საფასურს, ამ ხელშეკრულებით დადგენილი ტარიფებითა და პირობებით.

1.2. „სასტუმროს მომსახურების“ ტარიფები დამტკიცებულია სასტუმროს ადმინისტრაციის მიერ და დანართი №1-ის სახით წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია. ტარიფების გაზრდა ან შემცირება შესაძლებელია წელიწადის დროსა და სასტუმროს მომსახურებაზე არსებული მოთხოვნების შესაბამისად, რომელსაც „სასტუმრო“ გონივრულ ვადაში აცნობებს „სააგენტოს“. ასეთი შეტყობინება ძალაში შედის და წინამდებარე ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია იმ დღიდან, როცა იგი „სააგენტოს“ მიუვა. შეტყობინება არ იქნება გაგებული, როგორც „სასტუმროს“ მიერ ნაკისრი ვალდებულებების დარღვევა.

მუხლი 2. სასტუმრო მომსახურების ზოგადი პირობები

2.1. „სასტუმრო მომსახურება“ წარმოადგენს, შპს “ქერვან ტურიზმი – LTD KERVAN TURIZM”-ში შრომის ორგანიზებულად მოწესრიგებულ პირობებში, „სასტუმროს“ მიერ, ნებისმიერი სტუმრისათვის შეთავაზებულ სერვისებს (ინდივიდუალური ან ჯგუფური ხასიათის) რომელიც არ ეწინააღმდეგება საქართველოს კანონმდებლობას და ეთიკის აღიარებულ ნორმებს.

2.2. „სასტუმრო მომსახურების“ კონკრეტული პროდუქტის შეძენის შემდგომ, „სააგენტო“ უფლებამოსილია გაასხვისოს იგი უშუალოდ მომხმარებელზე ნებისმიერი კანონიერი ფორმით და არადემპინგურ ფასად ისე, რომ „სააგენტო“-ს მიერ შეთავაზებული ფასები არ უქმნიდეს კონკურენციის საფრთხეს „სასტუმროს“ გამოცხადებულ ფასებს.

2.3. „სააგენტოს“ მიერ მოთხოვნილი (დაკვეთილი) მომსახურება ხორციელდება სტანდარტულად შპს “ქერვან ტურიზმი – LTD KERVAN TURIZM”-ის ინფრასტრუქტურაში არსებულ ობიექტებზე. (ქ. ბათუმი, ჟორდანია / ზ.გამსახურდიას ქ. 8/15 და კოსტავა / ზ.გამსახურდიას ქ. 5/13). „მხარეთა“ დამატებითი შეთანხმებით შესაძლებელია „სასტუმრო“-მ „სააგენტოს“ (ან უშუალოდ სტუმრებს) გარკვეული მომსახურება გაუწიოს „სასტუმროს“ ინფრასტრუქტურის გარეთაც. ასეთი მოთხოვნა „სააგენტომ“ უნდა წარუდგინოს „სასტუმროს“ დაკვეთილი მომსახურების გაწევის სავარაუდო ვადის დაწყებამდე, არანაკლებ, 48 საათით ადრე.

2.4. „სასტუმროში“ დადგენილია სტუმართამომსახურების და ანგარიშსწორების ერთიანი სისტემა.

- სტუმართა შემოსვლა იწყება დღის 14.00 საათიდან, გასვლა მთავრდება მეორე დღის 12.00 საათზე.
- დღე-ღამის სხვა საათებში სტუმართა მიღების შემთხვევაში „სასტუმროს“ უნდა ეცნობოს წერილობითი შეტყობინებით, არანაკლებ 24 საათით ადრე.

Article 1. Subject of the contract:

1.1 “The hotel” provides service to “the agency”, with the whole service package existed on the base of “the hotel” (hereinafter referred to as “the hotel service”) according to the preliminary order of “the agency”; instead “the agency” pays the fee for the service, according to the rates and conditions established by the contract.

1.2 Rates of the hotel service are established by the administration of the hotel and are an integral part of the contract in the form of appendix N1. Increase or decrease of rates is possible according to the season and requirement existed on the hotel service, the hotel will inform about this the client in the reasonable period of time. The notification entries into force from the very exact day when the agency receives it and becomes an integral part of the contract. The notification should not be understood by the agency as non fulfilment of obligations by the hotel.

Article 2. General conditions of the hotel service:

2.1. „The hotel service“ represents any services (individual or group type) offered to guests by „the hotel“ in organized working conditions LTD “ქერვან ტურიზმი – LTD KERVAN TURIZM”, that does not against the Georgian law and recognized standards of ethics.

2.2 After purchasing the particular product of „the hotel service“, „the agency“ is authorized to sell it on the consumer in any legal form and in non damping price, so as the prices offered by „the agency“ won't be competitive threat for the prices announced by „the hotel“.

2.3 The requested (ordered) service by „the agency“ is realized on the facility existed in the infrastructure of LTD “ქერვან ტურიზმი – LTD KERVAN TURIZM” (8/15 Zhordania / Z.Gamsakhurdia / 5/13 Kostava / Z.Gamsakhurdia, Batumi). „The hotel“ can provide with the extra services „the agency“ (or guests) even outside of the infrastructure within the additional agreement by „the parties“. „The agency“ should represent the request to „the hotel“ earlier, not less than 48 hours before the realization of ordered services.

2.4 The whole service and payment system is established in „the hotel“.

- Arrival of the guests starts at 2 P.M. Departure finishes at 12 A.M. on the other day.

- In case of the other period of guests arrival during day and night, „the hotel“ should be informed in written way earlier, not less than 24 hours.

- სტუმრის 16:00 საათიდან - 22:00 საათამდე გასვლის შემთხვევაში, მომსახურების საფასური ანაზღაურდება დღე-ღამის სრული დროით განსაზღვრული ტარიფის 50% -ის ოდენობით.

- სტუმრის 22:00 საათიდან - 00:00 საათამდე, მომსახურების საფასური ანაზღაურდება დღე-ღამის სრული დროით განსაზღვრული ტარიფით.

- დღით ადრე შემოსვლის შემთხვევაში 06:00 საათიდან - 11:00 საათამდე მომსახურების საფასურს დამატება დღე-ღამის სრული დროით განსაზღვრული ტარიფის 50% -ის ოდენობით.

2.5. „სააგენტოს“ მოთხოვნა „სასტუმროს“ ნომრის ჯავშანზე ხორციელდება, მოთხოვნილი მომსახურების მიღებამდე არანაკლებ 48 სთ-ით ადრე, წერილობითი ფორმით, დამოწმებული უფლებამოსილი პირის ხელწერით. „სასტუმრო“ დაკვეთის მიღებიდან 24 საათის განმავლობაში უფლებამოსილია დაადასტუროს ან უარყოს „სააგენტოს“ მოთხოვნა, ასეთ შემთხვევაში „სასტუმრო“-ს არ ეკისრება უარის თქმის მოტივების განმარტება.

2.6. „სააგენტოს“ ჯავშნით განხორციელებული სტუმრის მომსახურების ვადების გაგრძელება, შესაძლებელია მხოლოდ „სასტუმროსთან“ შეთანხმებით, „სასტუმროს“ სტანდარტული ტარიფებით და ადგილზე ანგარიშწორების პირობით. „სასტუმროსათვის“ პრიორიტეტს წარმოადგენს „სასტუმროს“ სტანდარტული ტარიფებითა და პირობებით, თვითდინებით შემოსული სტუმრების მომსახურება.

2.7. ჯგუფური (10-დან 50 ნომრამდე, ან 50 ნომერზე მეტი) დაჯავშნის მოთხოვნაზე „სასტუმროსაგან“ დასტურის მიღების შემთხვევაში, მომსახურების დაწყებამდე სამი საბანკო დღით ადრე „სააგენტომ“ უნდა უზრუნველყოს, „სასტუმროს“ ანგარიშზე გადასახდელი თანხის 30%-ის გადახდა წინასწარი (PRE-INVOICE) ინვოისის მეშვეობით, წინააღმდეგ შემთხვევაში „სასტუმრო“ უფლებამოსილია გააუქმოს ჯავშანი და უარი თქვას მომსახურების გაწევაზე.

2.8. გაკეთებული ინდივიდუალური ჯავშანის (10 ნომრამდე) გაუქმებაზე „სააგენტოს“ მიერ წერილობითი შეტყობინება უნდა გაკეთდეს, მომსახურების დაწყებამდე 48 საათით ადრე. ჯგუფური ჯავშნის შემთხვევაში (10-დან 50 ნომრამდე, ან 50 ნომერზე მეტი) სასტუმრომ უნდა მიიღოს წერილობითი შეტყობინება ორი კვირით ადრე, რაზედაც „სააგენტომ“ უნდა მიიღოს დასტური „სასტუმროსგან“, სხვა შემთხვევაში ჯავშანი გაუქმებულად არ ჩაითვლება.

2.9. იმ შემთხვევაში თუ სააგენტო დარღვევს 2.8. მუხლით დადგენილ პირობას, მაშინ სააგენტოს მიერ სასტუმროს ანგარიშზე ჩარიცხული თანხიდან სასტუმრო იტოვებს ყოველი დაჯავშნილი ნომრის ერთი დღე-ღამის ღირებულებას და დარჩენილ თანხას გონივრულ ვადაში უბრუნებს სააგენტოს ხოლო იმ შემთხვევაში, თუ სააგენტოს სასტუმროს ანგარიშზე თანხა შეტანილი არ აქვს, მაშინ სააგენტოს დაეკისრება პირგამსატეხლოს გადახდა ყოველი დაჯავშნილი ნომრის ერთი დღე-ღამის ღირებულების ოდენობით.

2.10. დაჯავშნილი ნომრით სარგებლობის გარდა, დამატებით სხვა „სასტუმრო მომსახურების“ მიღების სურვილის შემთხვევაში „სააგენტო“ წერილობით აცნობებს „სასტუმროს“ არანაკლებ ორი კვირით ადრე, მომსახურების მიღების თარიღამდე. სხვა შემთხვევაში „სასტუმროს“ არ დაეკისრება პასუხისმგებლობა რაიმე დამატებით მომსახურებაზე.

2.11. ფაქტობრივად გაწეული სასტუმრო მომსახურების ღირებულების დაფარვის ვადა, მომსახურების დასრულების დღიდან თხუთმეტი კალენდარული დღე. ვადის გადაცილების შემთხვევაში დავალიანების დასაფარად, „სასტუმრო“ უფლებამოსილია (არა ვალდებულია) „სააგენტოს“ დააკისროს ზიანის ანაზღაურება, გადასახდელი თანხის 0.05 % ოდენობით ყოველ ვადაგადაცილებულ დღეზე. ასეთი უფლებით „სასტუმრო“-მ შეიძლება

- In case of guest departure between 4 P.M. - 10 P.M. hours, payment for the service will be paid in amount of 50% of the whole night and day rate.

- In case of guest departure between 10 P.M. - 12 P.M. hours, payment for the service will be paid in amount of the whole night and day rate.

- In case of guest arrival between 6 A.M. and 11 A.M. hours, payment for the service will be paid in amount of 50% of the whole night and day rate.

2.5 “The Agency’s” request on “the hotel” room reservation is fulfilled before getting the requested service not later than 48 hours in a written way confirmed by the authorized person signature. “The hotel” during 24 hours from getting the order is authorised to approve or refuse “the Agency” request, in such case “the hotel” is not obliged to explain the motives of the refusal.

2.6 To continue the terms of the guest service fulfilled with the reservation is possible only with “the hotel” agreement, with the standard rates of “the hotel” and in condition of payment on place. The priority for “the hotel” is service for the self entered guests with the standard rates and conditions.

2.7 In case of confirmation on the group reservation (from 10 to 50, or more than 50 rooms) request by “the hotel”, “the agency” should ensure to pay 30% of the sum on the account of “the hotel” by mean of PRE-INVOICE three days earlier before starting the service, otherwise “the hotel” is authorised to cancel the reservation and refuse to fulfil the service.

2.8 “The agency” should notify in a written way the cancellation of the individual reservation (under 10 rooms) earlier than 48 hours; for the group reservation (from 10 to 50 rooms, or more than 50 rooms) two weeks earlier, before fulfilment of the service, in this case “the agency” should receive the confirmation from “the hotel”, otherwise reservation should not be considered as cancelled.

2.9 If the Agency fails to observe the provision of paragraph 2.8. of this Contract, the Hotel is entitled to keep a one night fee for each reserved room of the sum transferred to the Hotel’s account by the Agency, but the remained sum shall be repaid to the Agency within the reasonable time. In case, if the sum is not paid by the Agency to the Hotel’s account, the Agency shall be imposed a penalty in amount of one night fee for each reserved room.

2.10 Despite of usage of the reserved room, in case of desire to get other “hotel services” “the agency” should notify “the hotel” about this in a written way not later than two weeks before getting the service. Otherwise “the hotel” will not take any responsibility for other additional service.

2.11 The payment deadline for the hotel service is fifteen calendar days after completing the service. In case of delay for covering debts “the hotel” is authorized to charge “the agency” to pay for the damage in amount of 0.05% for each delayed days. The right can be used by “the hotel” only according to its own decision and it is not an obligation.

ისარგებლოს მხოლოდ და მხოლოდ საკუთარი შეხედულებისამებრ და იგი არ წარმოადგენს მის ვალდებულებას.

2.12. ექვს წლამდე ასაკის ბავშვის მომსახურებას „სასტუმრო“ ახორციელებს დამატებითი ადგილის გამოყოფისა და საფასურის გადახდის გარეშე. ექვსიდან – თორმეტ წლამდე ასაკის ბავშვებს, ემატება – დამატებითი სტუმრის მომსახურების საფასურის 50%. თორმეტი წლიდან ზემოთ ემატება – დამატებითი სტუმრის მომსახურების სრული საფასური. ნებისმიერი ასაკის სტუმრების, (როგორც ინდივიდუალური ასევე ჯგუფური განთავსებისთვის) საჭიროა „სასტუმროს“ ადმინისტრატორის წინასწარი თანხმობა.

2.13. „სასტუმროსთან“ შეთანხმების გარეშე, დაჯავშნული ნომრებით დადგენილი რაოდენობის რიცხვის ცვლილება (გაზრდა, შემცირება), ითვლება ახალ დაკვეთად და საჭიროებს „სასტუმროს“ წინასწარ თანხმობას.

2.14. „სააგენტოს“ მიერ „სასტუმროში“ წინასწარ დაჯავშნულ რაოდენობაზე მეტი სტუმრის მოყვანის შემთხვევაში, „სასტუმრო“ უფლებამოსილია შეთანხმებულ რაოდენობაზე ზევით სტუმრებს გაუწიოს მომსახურება მხოლოდ „სასტუმროში“ თავისუფალი ადგილების არსებობის შემთხვევაში.

მუხლი.3. მხარეთა პასუხისმგებლობა

3.1. „მხარეები“ უნაზღაურებენ ერთმანეთს, წინამდებარე ხელშეკრულებით ნაკისრი ვალდებულებების არაჯეროვანი შესრულებით ან ვალდებულებათა დარღვევით მიყენებულ ზიანს, საქართველოს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

3.2. „მხარეები“ თავისუფლდებიან წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული ნებისმიერი ვალდებულებების შეუსრულებლობით გათვალისწინებული პასუხისმგებლობისაგან დაუძლეველი ძალის გარემოების დადგომის შემთხვევაში. „მხარე“ რომელიც ეფუძნება ასეთ გარემოებებს, გონივრულ ვადაში უნდა აცნობოს ამის შესახებ მეორე „მხარეს“, სხვა შემთხვევაში იგი კარგავს ასეთ გარემოებებზე მითითების უფლებას. თუ დაუძლეველი ძალის გარემოებების დადგომის გამო შეუძლებელია „მხარეთა“ ნაკისრი ვალდებულებების შესრულება ათ დღეზე მეტი დროის განმავლობაში და „მხარეებმა“ სხვა დამატებითი შეთანხმებას ვერ მიაღწიეს, მაშინ ხელშეკრულება ჩაითვლება ვადამდე შეწყვეტილად.

3.3. „სასტუმროს“ სტუმართა და მომსახურების შემძენთა პრეტენზიები მომსახურების საკითხებთან დაკავშირებით, განიხილება და გადაწყდება გონივრულ ვადებში, წინამდებარე ხელშეკრულებისა და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

3.4. არცერთ „მხარეს“ არ აქვს უფლება, მეორე „მხარის“ წინასწარი წერილობითი თანხმობის გარეშე გადასცენ მესამე პირებს, წინამდებარე ხელშეკრულებით გათვალისწინებული რომელიმე უფლება და ვალდებულება.

3.5. წინამდებარე ხელშეკრულების პირობების გადასვლა „მხარეთა“ უფლებამონაცვლებზე, შესაძლებელია, მხოლოდ უფლებამონაცვლესა და დარჩენილი „მხარის“ შორის წერილობითი შეთანხმების შემთხვევაში.

3.6. ნებისმიერი „მხარე“ უფლებამოსილია დააყენოს მეორე „მხარისადმი“ მიმდინარე ვალდებულების შესრულება, მის მიმართ მეორე „მხარის“ წინმსწრების ვალდებულების შერულებამდე. ასეთი დაყოვნება არ ჩაითვლება ვალდებულების დარღვევად.

3.7. ყოველი საანგარიშო თვის ანგარიშები, ექვემდებარება დაფარვას, მომდევნო თვის 5 რიცხვამდე. „მხარეთა“ შორის შედარების აქტით გამოვლენილი დებეტის შემთხვევაში, „სასტუმრო“ უფლებამოსილია დააყენოს „სააგენტოს“ შემდგომი მომსახურება, მიმდინარე ვალდებულების შესრულებამდე.

2.12 The hotel “provides service for the children before age six without any additional place and payment. From the age of six till Twelve – 50% of extra person payment will be added. From the age of Twelve – full extra person payment will be added. For the accomodation of any guests of any ages (as for individual or group accomodation) there should be “the hotel” consent.

2.13 The change of established number (increase, decrease) of the reserved rooms without the agreement with “the hotel” is considered as the new order and requires preliminary confirmation by “the hotel”.

2.14 In case of bringing more guests than it was preliminary reserved to “the hotel” by “the agency”, the hotel” is authorized to serve the guests only if there is vacant rooms in “the hotel”.

Article.3. Responsibility of the Parties:

3.1 “The parties” pay each other for the damage in case of not fulfilment their obligations or their violation in accordance with the Georgian regulation.

3.2 “The parties” are free from their responsibilities for non or semi fulfilment of the obligations in case of the Force Majeure circumstances, which enables fulfilment of the obligations foreseen by the contract. The party, which is enabling to fulfil obligations because of the Force Majeure circumstances, is obliged to inform “the other party” immediately. If the Force Majeure circumstance is taking place more than ten days and “the parties” couldn’t achieve compromise, the contract is considered to be stopped before the term.

3.3 Complaints of guests and service buyers of “the hotel” connected to the service is discussed and solved in reasonable terms, according to the contract and Georgian legislation.

3.4 None of “the party” has right to transfer any right or obligation of the contract to the third party without the written agreement of “the other party”.

3.5 Transfer of the conditions of the contract to “the parties” assignees is possible only with the written agreements between the assignee and “the other party”.

3.6 Any “party” is authorized to delay fulfilment of any obligation to “the other party”, before fulfilment of the advanced obligation of “the other party” towards him. The delay should not be considered as violation.

3.7 Accounts for each month should be covered before the date of 5 of the next month. “The hotel” is authorized to delay the next service for “the agency” before fulfilments of the current obligation.

Article.4. Privacy:

The conditions and rates of the contracts are confidential; they are the property only of the contract subjects and should not be revealed except of the cases foreseen by the law.

Violation of the privacy condition is the base of the contract withdrawal.

მუხლი.4. კონფიდენციალობა

წინამდებარე ხელშეკრულების პირობები და ტარიფები კონფიდენციალურია, იგი გათვალისწინებულია მხოლოდ ხელშეკრულების სუბიექტებისათვის და არ ექვემდებარება გამჟღავნებას კანონით გათვალისწინებული შემთხვევების გარდა. კონფიდენციალურობის პირობის დარღვევა წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების უპირობოდ შეწყვეტის საფუძველს.

მუხლი.5. დავის გადაწყვეტის წესი.

ნებისმიერი დავა წყდება ურთიერთშეთანხმებით. მოლაპარაკებების დაწყებიდან ათი დღის ვადაში შეუთანხმებლობის შემთხვევაში მხარეთა დავა განიხილება სასამართლოს მიერ კანონმდებლობის შესაბამისად.

მუხლი.6. ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა

6.1. ხელშეკრულება და მისი დანართები ძალაში შედის „მხარეთა“ მიერ მათი ხელმოწერისთანავე და ძალაშია 2017 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

6.2. ხელშეკრულების ვადამდე შეწყვეტა შესაძლებელია ნებისმიერი „მხარის“ ინიციატივით კანონმდებლობით გათვალისწინებულ ან ერთერთი „მხარის“ მიერ, ხელშეკრულების პირობების არაერთგზის ან უხეშად/გაუფრთხილებლობით დარღვევის შემთხვევაში.

6.3. ხელშეკრულება წყდება:

- მოქმედების ვადის გასვლით;
- მხარეთა შეთანხმებით;
- კანონით გათვალისწინებული სხვა შემთხვევაში.

მუხლი.7. დამატებითი დებულებები

7.1. ხელშეკრულება არ შეიცავს რაიმე სიტყვიერ და საიდუმლო მითითებებს, იგი წარმოადგენს ერთადერთ შეთანხმებას ხელშეკრულების საგანზე, გარემოებები რომლებიც არ არის გათვალისწინებული წინამდებარე ხელშეკრულებით რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობით;

7.2. ხელშეკრულების ამოქმედების შემდგომ, ძალას კარგავს „მხარეთა“ შორის არსებული ყველა ადრინდელი შეთანხმება, მოლაპარაკება და მიმოწერა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით. ნებისმიერი ცვლილებები და დამატებები ხელშეკრულებაში შესაძლებელია განხორციელდეს მხარეთა შორის წერილობით, რომელიც უნდა დამოწმდეს მხარეთა უფლებამოსილი წარმომადგენლის მიერ.

7.3. „სასტუმროსა“ და „სააგენტოს“ შორის ინფორმაციის გაცვლა ხორციელდება წერილობით, წინამდებარე ხელშეკრულებაში მითითებულ „მხარეთა“ მისამართებზე, საფოსტო გზავნილით, ელექტრონულად, ფაქსით, ან/და სხვა ნებისმიერი ტექნიკური საშუალებებით, რომელიც იძლევა კორესპოდენციის ადრესატზე ჩაბარების ან ჩაბარების მცდელობის რეგისტრაციის საშუალებას.

7.4. ხელშეკრულების დანართები და დამატებები, ასევე „მხარეთა“ შორის ნებისმიერი მიმოწერა ხელშეკრულების საგანთან დაკავშირებით, წარმოადგენს წინამდებარე ხელშეკრულების შემადგენელ და განუყოფელ ნაწილს.

7.5. ხელშეკრულების რომელიმე დებულების გაუქმება ან ძალადაკარგულად ცნობა ვერ იქონიებს გავლენას ხელშეკრულების, როგორც მთლიანის და მისი სხვა დებულებების იურიდიულ ძალასა ან კანონიერებაზე.

7.6. ხელშეკრულება შედგენილია ორ, თანაბარი იურიდიული ძალის ეგზემპლარად, ქართულ (ინგლისურ ენებზე, თვითოეული „მხარისათვის“. სხვადასხვა ენოვანი ეგზემპლარებს შორის კოლიზიის შემთხვევაში უპირატესობა ენიჭება ქართულენოვან ტექსტს.

Article.5 the rule of dispute settlements :

All disputes and arguments between the parties connected to the present contract will be solved in the way of negotiation. In case of non-agreement within the ten days, the argument between two sides will precede in the court according to the law.

Article.6 Validity of the contract and withdrawal from the contract

6.1 The contract and its appendixes entry into force at the time of its signature by “the parties” and is valid to December 31, 2017.

6.2 Termination of the contract before the term is possible by the initiative of any “party” in case of on fulfilment or violation of the obligations by “the other party”.

6.3 The contract may be terminated:

- expiration of the terms,
- consent of the parties,
- in the other cases envisaged by the applicable law.

Article.7 Final Provisions:

7.1.The contract does not contain any verbal or secret instructions and it is the only agreement on the subject, the circumstances which are not foreseen with the contract are regulated by the current Georgian legislation.

7.2 After the contract entries into force, all the previous agreements, negotiations and written communication on the subject of the contract between “the parties” are invalid.

7.3 Information exchange between “the hotel” and “the agency” is fulfilled in a written way on “the party” addresses identified in the contract by post, e-mail, fax or the other technical means which enables the communication.

7.4 Appendixes and additions of the contract, as well any written conversation of “the parties” connected to the subject of the contract are the integral parts of the contract.

7.5 Cancellation or confirmation as invalidated any provision of the contract can't effect on juridical force of the other provisions as the whole one.

7.6 The present contract is composed in two copies in Georgian and English languages and each of them have the same juridical value. Parties will get the copies. In case of any differences between the Georgian and English texts, the Georgian one is prevailed.

Article.8. Details and signature of the parties

მუხლი.8. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერები

„სასტუმრო“

შპს „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM“

ქორდანია / ზ.გამსახურდიას ქ. N8/15

კოსტავა / ზ.გამსახურდიას ქ. N5/13

ს/კ 445430971

ბანკი: საქართველოს ბანკი BAGAGE22

ანგარიშის ნომერი GE09BG0000000798331600

დირექტორი: ზურაბ ბერიძე

„The HOTEL“

LTD „ქერვან ტურიზმი - LTD KERVAN TURIZM“

8/15 Zhordania / Z.Gamsakhurdia Str.

5/13 Kostava / Z.Gamsakhurdia Str. BATUMI/GEORGIA

I/D 445430971

BANK: „BANK OF GEORGIA“ SWIFT CODE: BAGAGE22

ACCOUNT N: GE09BG0000000798331600

Director: Zurab Beridze

„The AGENCY“

Agency: World Avenues SA

Name of the Bank:

Credit Suisse

IBAN NO: Ch-1211 Geneva 70

Tax No: CHE 109 867 307

Name of the Manager (Owner)

Mrs. Gabriella Khalil-Nagy

E-Mail address: contracting2@world-avenues.ch

Address: 14, Rue Ferrier, CH-1202 Geneva, Switzerland


Tel.: 41225481211

Fax: 41229069410

Date(Tarih): 21.10.2017

Stamp & Signature

Alaa Hussein



„სააგენტო“

„სააგენტო“

ბანკის დასახელება :

IBAN NO:

ს/ნ:

დირექტორის სახელი და გვარი :

იმეილი:

მისამართი:

ტელ.:

ფაქსი:

თარიღი:

ხელმოწერა და ბეჭედი: